# ჩვენები

## საზაფხულო ბანაკში-2

# შუამავლის ახალგაზრდობა



## ჩვენები საზაფხულო ბანაკში (2)

# შუამავლის ახალგაზრდობა

ჩვენები საზაფხულო ბანაკში ყოფნას განაგრძობდნენ. ბანაკის ცხოვრება ზოგჯერ მხიარული და ზოგჯერაც დამღლელი იყო. შუადღის შემდეგ ფრენბურთის დრო იყო. ბავშვები ორ გუნდად გაიყვნენ და ტბის ნაპირას მდებარე მოედანზე გავიდნენ. ისინი უკვე მზად იყვნენ თამაშისთვის. სხვა ჯგუფები კი მათი თამაშის საყურებლად იყვნენ მოსული. ქერიმის გუნდში ის ბავშვები იყვნენ, რომლებთანაც ერთად კარავში რჩებოდა. აჰმეთს კისერზე სასტვენი ჰქონდა ჩამოკიდებული და მსაჯობა უნდა გაეწია. აი, აჰმეთმაც ჩაბერა სასტვენს და თამაში დაიწყო.





სულეიმანი კარავშიც ქერიმთან ერთად იყო და ერთ გუნდშიც თამაშობდნენ. სულეიმანი სკოლაშიც ფრენბურთის გუნდში იყო, ამიტომ მთელ გუნდში ყველაზე უკეთ ის თამაშობდა. ყოველ ბურთს ძალიან ოსტატურად იღებდა და ძირს არ უშვებდა. ის სიმაღლითაც ყველაზე ტანმაღალი იყო და ეს ცალკე უპირატესობას ანიჭებდა. მეჰმეთის გუნდში კი ყველა თამაშის უცოდინარი იყო თავმოყრილი. ბავშვები კარგად ერთობოდნენ. ბურთს გამოდევნებულები ერთიმეორეს სიცილით ეჯახებოდნენ და ძირს ეცემოდნენ. მათი ასეთი მხიარულება მაყურებლებსაც გადასდებოდათ და ისინიც იცინოდნენ. პირველი ხელი ძალიან სწრაფად დასრულდა. ეს ხელი ქერიმის გუნდმა მოიგო. მაყურებლებს შორის ომერიც იყო და თამაშს თვალყურს ადევნებდა. ბავშვები თამაშის დასრულებას ელოდნენ და შემდეგ კი ომერთან ერთად უნდა ესაუბრათ.

მატჩის მეორე ნაწილი დაიწყეს. მსაჯმა მეჰმეთის გუნდი ცოტათი შეაგულიანა.

- ცოტა უფრო ყოჩაღად ითამაშეთ და კარგი მატჩი გამოგვივაა!

მეჰმეთის გუნდმა ამჯერად სერიოზულად შეუდგა თამაშს. უფრო მეტ მონდომებას და ბრძოლისუნარიანობას იჩენდნენ. სალიჰი და იბრაჰიმი სულეიმანის მიერ დარტყმულ ბურთებს წარმატებით იგერიებდნენ. ამის გამო მათ მაყურებელთა ოვაცია და ტაში დაიმსახურეს. ამან იმდენად გაათამამა ბავშვები, რომ მეორე ხელი მოიგეს. ახლა უკვე მესამე, გადამწყვეტი ხელი უნდა ეთამაშათ.

ბავშვები სიცხისა და სირბილისგან გახურებულები იყვნენ და ოფლში ცურავდნენ.

ყველა ღელავდა. ბოლო, გადამწყვეტი ხელი ძალიან დაძაბული უნდა ყოფილიყო. სულეიმანი ყოველი მოძრაობისა და აღებული ქულისთვის მაყურებელთა ტაშს და ქებას იმსახურებდა. მეჰმედის გუნდი კი ამის გამო ძალიან ნერვიულობდა და უფრო გამეტებით თამაშობდა. მათ ზედიზედ რამოდენიმე ქულა აიღეს. თუმცა სულეიმანის მიერ დარტყმულის აღება საკმაოდ რთული იყო. ის სწრაფად და ძლიერად ურტყამდა. ბურთი ზუსტად მოედნის ხაზზე ეცემოდა. რამოდენიმე ასეთი ბურთის ჩაგდების შემდეგ სულეიმანის გუნდმა თამაში მოიგო. მეჰმეთის გუნდმა კი მართლაც რომ თავისი მაქსიმუმი გააკეთა და ლამაზი თამაში აჩვენა. თუმცა ამის მიუხედავად თამაში წააგეს.



მატჩის შემდეგ ყველა მაყურებელმა ყველას ტაში დაუკრა და ორივე მხარეს მიულოცა. მოთამაშეებმაც იგივე გააკეთეს და ერთიმეორეს მიულოცეს.

ახლა უკვე დასვენების დრო იყო. ქერიმი, მეჰმეთი და სალიჰი ომერთან მივიდნენ. ისინი უზარმაზარ ხის ძირში დასხდნენ და საუბარი გააბეს.

ყველა მათგანი ბანაკში მომხდარზე საუბრობდა. ასევე ვერ მალავდნენ ოჯახებისა და მშობლების მონატრებას.

საღამოს მზე ტბის ზედაპირზე ნაირფერად ყვავილებივით გაშლილიყო. ბავშვები თავიანთ ბანაკებში დაბრუნდნენ და გემრიელად ივახშმეს. ვახშმის შემდეგ ბანაკის შუაში გაჩაღებულ კოცონთან შეიკრიბნენ. დღევანდელი თამაში შემდეგ ყველანი დაღლილები ჩანდნენ. ძილი მალე მოერიათ. ქერიმმა გვერდით მჯდომ სულეიმანს მხარზე შეეხო.



- იცი, ამაღამ ჩვენ მორიგეები ვართ.

სულეიმანმა ძილმორეული თვალებით გადახედა ქერიმს.

- მეხუმრები ხომ?

- არა, არ გეხუმრები, უთხრა ქერიმმა.

ბავშვებს ძალიან მოერიათ ძილი. აჰმეთმა მათ ადრე დაძინების უფლება მისცა. სახლში ყოფნისას ბავშვებს არ სურდათ ადრე დაძინება და მშობლებს უძალიანდებოდნენ, მაგრამ აქ ყველა ადრიანად გაიქცა საწოლში.

სულეიმანი და ქერიმი ხელში ფანრებით თავიანთი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ.

კარვების გარშემო არემარე განათებული იყო. ბანაკის გარე პერიმეტრზე კი ისედაც დაცვის თანამშრომლები მორიგეობდნენ. ბავშვების მიერ მორიგეობის შესრულება მხოლოდ სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა.



გარემოში სიჩუმეს დაესადგურებინა. მხოლოდ მწერების ხმა ისმოდა. ცაზე კი სავსე მთვარე ანათებდა.

ქერიმს უნდოდა სულეიმანისთვის ძილი დაეფრთხო, ამიტომ საუბარი გაუბა.

- კარგად თამაშობ ფრენბურთს. სად ისწავლე?

- სულ პატარაობიდანვე ვთამაშობ მამასთან ერთად. ახლა კი სკოლის ფრენბურთის გუნდში ვარ. ფრენბურთი ძალიან მიყვარს. შენზე რას მეტყვი ქერიმ?

- მე და ჩემი მეგობრები უმეტესწილად სულ ფეხბურთს ვთამაშობთ. ჩვენს უბანში ერთი ცარიელი მიწაა და უბნის ბავშვები იმ ცარიელ ადგილას ვთამაშობთ. ჩვენი მოედანი ეგაა. შენც მოდი ერთ დღეს. ჩვენი მატჩები ძალიან სახალისო გამოდის.

- კი მაგრამ, მე ფეხბურთის თამაში კარგად არ გამომდის.

- არაუშავს. არც მე ვიცოდი ფრენბურთი, მაგრამ დღეს ვითამაშე. თან ვისწავლე და თანაც ძალიან გავერთე. შენც რამოდენიმეჯერ თუ ითამაშებ ფეხბურთს, დარწმუნებული ვარ ძალიან მოგეწონება.

- არცაა აუცილებელი ძალიან კარგად იცოდე. მთავარია გართობა და სპორტი. თანაც, თუ მოხვალ მე და ჩემს მეგობრებს ფრენბურთს გვასწავლი.

სულეიმანს ქერიმის შეთავაზება მოეწონა და გაუხარდა.

- რა თქმა უნდა გასწავლით.



ბავშვებმა კარვებს შემოუარეს და კარვებს შორის გაჩაღებულ ცეცხლთან ჩამოსხდნენ.

- შენც ბევრი რამ გცოდნია ქერიმ, –უთხრა სულეიმანმა. მუსტაფა მასწავლებელი როცა გვესაუბრებოდა ყველაზე მეტად შენ ერთვებოდი. ასე კარგად იცი წმ. შუამავალის ცხოვრება?

- მე ბევრი წიგნი მაქვს წაკითხული მის შესახებ. მამა სულ ასეთ წიგნებს ყიდულობს ჩემთვის და მეც ყველას ვკითხულობ. სახლში რომ დავბრუნდებით გათხოვებ და წაიკითხავ.

სულეიმანს თვალები გაუბრწყინდა. ქერიმი მისთვის უკვე კარგი მეგობარი იყო.

- რა თქმა უნდა წავიკითხავ. წიგნების კითხვა მეც ძალიან მიყვარს.

- იცი, ხვალე რას მოგვიყვება მუსტაფა მასწავლებელი?

- მე ვფიქრობ წმ. შუამავლის ახალგაზრდობისა და ქორწინების შესახებ მოგვიყვება.



- მოდი მომიყევი რა, სულეიმან მასწავლებელი როცა მოგვიყვება მეც მინდა ჩავერთო და კითხვებს ვუპასუხო, სთხოვა სულეიმანმა ქერიმს.

- მოგიყვები რა თქმა უნდა, უპასუხა ქერიმმა.

- წმ. შუამავალი ბიძის, ებუ თალიბის გვერდით აღიზარდა. მექაში მას ყველა იცნობდა. ის მორალურობით, პატიოსნებით და სამართლიანობით იყო გამორჩეული. თავისზე მიბარებულ ამანათს ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა თურმე. ამიტომ ხალხმა მას "სანდო მუჰამმედი" შეარქვა.

წმ. შუამავლის პირველი მეუღლე ჰატიჯე იყო. ჰატიჯე მექაში ერთ-ერთი მდიდარი ქალი იყო. ერთხელ ჰატიჯე თავისი სავაჭრო ქარავნისთვის სანდო ხელმძღვანელს ეძებდა. მან შეიტყო, რომ მექაში სანდო ადამიანად მუჰამმედი ითვლებოდა. ჰატიჯემ მუჰამმედს მასთან მუშაობა შესთავაზა. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ მუჰამმედი დათანხმდა. ჰატიჯემ თავისი დამხმარე მეისერეც მუჰამმედს თან გააყოლა. იმ ჯერზე საქონლისგან დიდი მოგება ნახეს. მოგზაურობის დროს მეისერე მუჰამმედს კარგად აკვირდებოდა და მისი პატიოსნებითა და ზნეკეთილობით ძალიან მოიხიბლა. მოგზაურობის დასრულების შემდეგ კი ეს ყველაფერი ჰატიჯეს მოუყვა.



სულეიმანს უკვე აღარ ეძინებოდა. ის ყურადღებით უსმენდა ქერიმს.

- ჰატიჯე მანამდე ორჯერ იყო გათხოვილი. ახლაც, მდიდარ ქვრივს ხელის მთხოვნელი მრავლად ჰყავდა, მაგრამ ყველას უარს ეუბნებოდა. როდესაც მან მუჰამედი გაიცნო, მისი პატიოსნებით და მაღალი მორალური ღირებულებებით მოიხიბლა. სულ მალე მუჰამმედზე ქორწინება მოისურვა და ამის შესახებ მუჰამმედს აცნობა. მუჰამმედმა ბევრი იფიქრა და ბოლოს თანხმობა გამოუცხადა. ამრიგად ისინი დაქორწინდნენ.



წმ. შუამავალი ჰატიჯესთან ქორწინების შემდეგ მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო. იმ დროს ბიძამისის, აბი თალიბის ფინანსური მდგომარეობა კი საკმაოდ არასახარბიელო იყო. ამიტომ მაზე დახმარების მიზნით მუჰამმედმა ებუ თალიბის ვაჟი ალი აიყვანა დამხმარედ.

- ანუ ეს, ის ცნობილი ალია?

- დიახ. წმ. ალი. ის წმ. შუამავლის ბიძაშვილი იყო.

წმ. შუამავალს შვიდი შვილი ჰყავდა. მათგან ვაჟები, ქასიმი და აბდულლაჰი ადრე გარდაიცვალნენ.



– წმ. შუამავალი მედინაშიც იყო დაქორწინებული მარიაზე და მისგანაც ჰყავდა ერთი ვაჟი. თუმცა ისიც პატარაობისას გარდაიცვალა. შვილის სიკვდილმა წმ. შუამავალი ძალიან დაამწუხრა და უხმოდ აატირა. თვითონ ხომ ობლად გაიზარდა, ამასთანავე ფატომას გარდა საკუთარი ყველა შვილი თვითონ ჩაიტანა საფლავში.

სულეიმანი და ქერიმი წუთით გაირინდნენ და მოიწყინეს. წმ. შუამავლის ცხოვრება სულაც არ ყოფილა ადვილი.

- მიდი, გააგრძელე, –სთხოვა ისევ სულეიმანმა.



მთვარის შუქი შესუსტდა, რადგან ღრუბლების ფარდა ჰქონდათ ჩამოფარებული. რაღაც ხმაური შემოესმათ, თუმცა დარწმუნებული არ იყვნენ. საუბრის გაგრძელებას აპირებდნენ, მაგრამ ხმაური ისევ შემოესმათ. მათ იცოდნენ, რომ გარემო უსაფრთხო იყო, მაგრამ მაინც შეშფოთდნენ, რადგან ყველას ეძინა. ბავშვები ერთიმეორეს უყურებდნენ.

- ავდგეთ?

- მივიდეთ და ვნახოთ, თქვა ქერიმმა. რაცარუნდა იყოს ჩვენც ხომ აქაურობას ვიცავთ.

ბავშვებმა ფანრები მოიმარჯვეს, ფეხზე წამოდგნენ და იქით გაემართნენ, საიდანაც ხმაური მოდიოდა. ტყეში სხვა ხმა არ ისმოდა. კალიებიც კი გაჩუმებულიყვნენ. ბავშვები საკმაოდ მიუახლოვდნენ ხმაურის ადგილს. ნეტა რა უნდა იყოს? თან აინტერესებდათ და თან ეშინოდათ. ასე აგრძელებდნენ მიახლოებას.

- აქ რას დაეძებთ ბავშვებო?

აჰმეთის ხმაზე ბავშვები შეკრთნენ. მოულოდნელი შიშიგან ფანრების კი გაუცვივდათ ხელიდან.



მათ უკან აჰმეთი იდგა. ბავშვებმა სიცილი დაიწყეს.

- რაღაც ხმაური შემოგვესმა, უპასუხა ქერიმმა.

სამივემ ხმაურის მიმართულებით გასწია. ბალახებში მოძებნეს, გარემო კარგად დაათვალიერეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს.

–კატა ხომ არ იყო ნეტავი?

– გველი არ იყოს, შიშით ჩაილაპარაკა სულეიმანმა.

– იქნებ ბუა, თავისი ვარაუდი გამოთქვა ქერიმმა.

– აქ არაფერია, თქვა ბოლოს აჰმეთმა. წამოდით, კარვებთან დავბრუნდეთ.

აჰემთი თავის კარავში შევიდა, ხოლო ბავშვები ისევ მორიგეობას განაგრძობდნენ.

- გავაგრძელოთ? თქვა ქერიმმა.

- გავაგრძელოთ. უპასუხა სულეიმანმა.



muslim georgia



– წმ. შუამავალი 35 წლისა გახდა. ერთ დღეს სახლიდან გამოვიდა და ქააბასკენ მიდიოდა. იმ დროისათვის ქურდობა და ძმათაშორის მკვლელობა ძალიან გახშირებული იყო. ადამიანებს შორის ნდობა საერთოდ დაკარგული იყო. ეს მდგომარეობა შუამავალს ძალიან აწუხებდა და უნდოდა რაღაც მოემოქმედა.

ამ ფიქრებში გართული იყო, როდესაც ქააბას მიუახლოვდა. იმ დროს ქააბას რემონტი მიმდინარეობდა.

- აი მუჰამმედი. სამართლიანი და პატიოსანი ადამიანი! დაიძახეს ხალხმა, როდესაც შუამავალი იქ მყოფებს მიუახლოვდა.

შუამავალს გაუკვირდა. ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა. იქ მყოფებმა თავიანთი დავის მიზეზი აუხსნეს.

– დიდი ხანია ქააბას ვარემონტებთ. ამ წმინდა ქვის, თავის ადგილზე მოთავსება გვინდა და ვერაფრით შევთანხმდით. ყველა გვარს მიაჩნია, რომ სხვებთან შედარებით აღმატებულია და ამ ქვის თავის ადგილზე მოთავსებას აპირებს.

– ჩვენც გადავწყვიტეთ, რომ კარებიდან პირველი ვინც შემოვიდოდა ჩვენი მსაჯული ყოფილიყო და ეს დავა მას გადაეწყვიტა. შენ რომ გამოჩნდი ძალიან გაგვიხარდა. მთელს მექაში საამისოდ ყველაზე ღირსეული პიროვნება შენ ხარ. ყველაზე მეტად შენ გენდობით. ახლა კი შენ უნდა გვიჩვენო გამოსავალი. უთხრეს იქ მყოფებმა.

წმ. შუამავალმა ამ ქვის მნიშვნელობა იცოდა. იქ მყოფებს ერთი ნაჭერი მოატანინა და წმინდა ქვა ზედ დაადებინა. შემდეგ ყველა გვარის წარმომადგენელმა ნაჭერს ხელი მოჰკიდეს და ქვა ასე ასწიეს. შემდეგ კი შუამავალმა ქვა თავის ადგილზე მოათავსა.

ამგვარი გამოსავალი ყველას მოეწონა. ყველა კმაყოფილი იყო და შუამავალს გამჭრიახობას უწონებდნენ.



სულეიმანი ქერიმს ყურადღებით უსმენდა. მათ ვერც კი გაიგეს როდის გავიდა დრო. მათი მორიგეობა დასრულდა. მათ კი უკვე აღარ ეძინებოდათ.

თავიანთ კარვებისკენ მიმავალი ბავშვები საუბარს ისევ განაგრძობდნენ.

